საქართველოს მთავრობის

დადგენილება №356

2020 წლის 8 ივნისი

ქ. თბილისი

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისათვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე:

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში არსებული 19743.00 კვ. მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №45.01.25.355) და 280273.00 კვ. მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №45.01.25.361) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს/ტერიტორიებს მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განსაკუთრებული რეგულირების ზონაში დამტკიცდეს სამრეწველო- ეკონომიკური რეჟიმი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**